INSTITUTE FOR DEVELOPMENT OF FREEDOM OF INFORMATION

IDFI

საქართველოს საჯარო დაწესებულებების საინფორმაციო (ინტერნეტ) რესურსების მონიტორინგი - 2011

კვლევის ძირითადი მიზნები:

- საქართველოს საჯარო დაწესებულებების გამჭვირვალობის ხარისხის ამაღლება;
- ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ხელშეწყობა;
- საქართველოში ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება;
- საქართველოში ელექტრონული მმართველობისა და ელექტრონული გამჭვირვალობის განვითარება.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის ოფიციალური ვებ-გვერდის (www.tcj.gov.ge) საინფორმაციო გამჭვირვალობისა და ელექტრონული მმართველობის შეფასებითი მონიტორინგი

2011 წლის 18 ნოემბერი

ყველა უფლება დაცულია

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

ა. მაჭავარიანის ქ. №4, ბინა1. 0179. საქართველო, თბილისი.

Tel: +995322 996364.

www.idfi.ge / www.opendata.ge

info@idfi.ge

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი
www.tcj.gov.ge

გამოვლენილი ძირითადი ხარვეზები და რეკომენდაციები




ინფორმაციის არსებობა ვებ-გვერდზე
წარმოდგენილი ინფორმაციის ხარისხი
1. ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ
42.86%
59.22%
2. საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა
66.67%
19.50%
3. მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ
80.00%
33.38%
4. ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები
26.92%
23.36%
5. სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა
10.00%
16.00%
6. საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას
7.14%
19.00%
7. ს-დ საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები
0.00%
0.00%
8. საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა
0.00%
0.00%
9. საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)
0.00%
0.00%
0.00%
50.00%
100.00%

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის ვებ-გვერდზე არ მოიძიება:

- **ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ**

1. ვებ-გვერდზე არ მოიძება ცენტრის ხელმძღვანელობის შესახებ შემდეგი სახის ინფორმაცია, კერძოდ:

- არ მოიძიება ცენტრის დირექტორის ფოტოსურათი, კომპეტენციის აღწერა და შემდეგი საკონტაქტო რეკვიზიტი - მისაღების (თანაშემწის) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები;

- არ მოიძიება ცენტრის დირექტორის მოადგილის ფოტოსურათი, კომპეტენციისა აღწერა და შემდეგი საკონტაქტო რეკვიზიტი - მისაღების (თანაშემწის) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები:

სასურველია, ვებ-გვერდზე შეიქმნას (ქვე-)განყოფილებები, სათაურად „ცენტრის დირექტორი“ და „მოადგილე“ სადაც განთავსდება მათ შესახებ ყველა სახის შესაბამისი ინფორმაცია.

2. არ მოიძიება ვებ-გვერდის ოფიციალურობის დამადასტურებელი წერილობითი აღნიშვნა და ცენტრის შენობის მდებარეობის აღმნიშვნელი რუკა.

3. ვებ-გვერდზე არ არის მოცემული საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ნომერი, ცენტრის სრული სარეკვიზიტო ცნობარი (თანამშრომელთა საკონტაქტო რეკვიზიტები - ფაქსისა და ტელეფონის ნომრები), აგრეთვე, არ მოიძიება ცენტრის ელექტრონული ფოსტის მისამართი და ცენტრის მიერ ფიზიკური და იურიდიული პირების მიღების და მათთან მუშაობის გრაფიკი:



4. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ცენტრის ზემდგომი (მაკონტროლებელი) ორგანოს, კერძოდ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დასახელება:

5. ვებ-გვერდზე არ არსებობს (ქვე-)განყოფილება სათაურად „ისტორია“, სადაც განთავსდებოდა ცენტრის დაფუძნების თარიღიდან მოყოლებული დეტალური საქმიანობის ისტორია.

6. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ცენტრის მიზნების, ფუნქციებისა და საქმიანობის საგნის აღწერა, აგრეთვე, არ არსებობს შესაბამისი (ქვე-)განყოფილება.

- **საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა**

7. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ცენტრის თანამშრომლების შესახებ შემდეგი სახის ინფორმაცია, კერძოდ:

- არ მოიძება ცენტრის თანამშრომლების ფოტოსურათები, ცენტრის დირექტორის მიერ განსაზღვრული მათი სამუშაო აღწერილობები, აგრეთვე მათი საკონტაქტო რეკვიზიტები: ფაქსისა და საკონტაქტო ტელეფონის ნომრები.

ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „ჩვენს შესახებ“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „თანამშრომლები“ მოცემულია ცენტრის თანამშრომლების მხოლოდ

სახელები და გვარები, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები და და ელექტრონული ფოსტის მისამართები:

ოთარ ფერაძე

წამყვანი სპეციალისტი (ფინანსისტი) - e-mail: opheradze@justice.gov.ge ...

ლანა ჩხარტიშვილი

მთავარი სპეციალისტი (პროექტების მენეჯერი) - e-mail: lchkhartishvili@justice.gov.ge ...

მაია ხოსიტაშვილი

მთავარი სპეციალისტი (ფსიქოლოგი) - e-mail: mkhositashvili@justice.gov.ge ...

*პროექტ **„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის'' ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი**", იუსტიციის სასწავლო ცენტრისათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის მეორე კვარტალში (აპრილი-მაისი-ივნისი) შტატში და შტატგარეშე მომუშავე პირთა საერთო რაოდენობა ცალ-ცალკე, რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის ცენტრის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:*

http://www.opendata.ge/pdf_files/iusticiis.saswavlo_sashtato.nusxa.pdf

აღნიშნული ინფორმაცია დადასტურებულ იქნა აგრეთვე ცენტრთან სატელეფონო კავშირის შედეგად.

ხოლო, მოცემულ განყოფილებაში წარმოდგენილია ინფორმაცია ცენტრის მხოლოდ შვიდი თანამშრომლის შესახებ,სასურველია, აღნიშნულ ინფორმაციას დაემატოს აგრეთვე, სამი შტატგარეშე და ერთი შტატში მომუშავე თანამშრომლის შესახებ.

- **მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ**

8. ვებ-გვერდზე არ არის მოცემული შემდეგი სახის მნიშვნელოვანი მონაცემთა ბაზები: არ არსებობს ვაკანსიათა და ტენდერების არქივი (არ არსებობს შესაბამისი (ქვე)-განყოფილებები), საერთაშორისო და ადმინისტრაციული ხელშეკრულებები, ცენტრის საქმიანობის ამსახველი

წლიური და კვარტალური/მიმდინარე ანგარიშები, სტატისტიკური მონაცემები, პროგრამები და პროექტები, გეგმები და პროგნოზები, ფინანსური ხასიათის მაჩვენებლები *და ა.შ.*

არ მოიძიება, აგრეთვე, ცენტრის მიერ შემუშავებული სამართლის სხვადასხვა დარგებში მიღებული ახალი კანონმდებლობის კომენტარები და დამხმარე, მეთოდოლოგიური ლიტერატურა.

ამასთან, ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „ჩვენს შესახებ“ არსებული ქვე-განყოფილება „სასწავლო პროცესი“ ცარიელია:

აგრეთვე, ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „ტრენინგები“ განთავსებულ ბმულებზე გადასვლისას - „2010“, „2009“, „2011“ გახსნილი გვერდები ცარიელია:

ვებ-გვერდზე არსებული განყოფილება სათაურად „პარტნიორები“ ცარიელია:

- **ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები**

9. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ცენტრის ხელმძღვანელ პირთა მიმდინარე საქმიანობის შესახებ შემდეგი სახის ცნობები. კერძოდ:

- არ მოიძიება ცენტრის დირექტორის გამოსვლების, განცხადებების, ბრიფინგების ტექსტები და ცნობები მისი ოფიციალური/სამუშაო ვიზიტების შესახებ;

- არ მოიძიება ცენტრის დირექტორის მოადგილის გამოსვლების, განცხადებების, ბრიფინგების ტექსტები, ცნობები მათი ოფიციალური/სამუშაო ვიზიტების შესახებ, აგრეთვე, ცნობები მათი მონაწილეობის შესახებ ამა თუ იმ ღონისძიებებში:

აღსრულების ეროვნული ბიურო სტაჟიორთა შერჩევის პირველ ტურს ასრულებს

12 ნოემბერი 2011 ვრცლად

საკანონმდებლო მაცნეს ელექტრონული პროგრამის ტრეინინგები დაიწყო

19 ოქტომბერი 2011 ვრცლად

სემინარი იუსტიციის სასწავლო ცენტრში

11 ოქტომბერი 2011 ვრცლად

ნოტარიუსებს, რომელთაც საკვალიფიკაციო გამოცდა ჩააბარეს, სერთიფიკატები გადაეცათ

11 ოქტომბერი 2011 ვრცლად

სისხლის სამართლის ელექტრონული საქმისწარმოების ტრეინინგი პროკურატურის სტაჟიორებისათვის

20 სექტემბერი 2011 ვრცლად

იუსტიციის სამინისტროში ნოტარიუსთა საკვალიფიკაციო გამოცდის პირველი ეტაპის შედეგები

10. ვებ-გვერდზე არ არსებობს (ქვე-)განყოფილება „წლიური ანგარიშები“ სადაც განთავსდებოდა ცენტრის საქმიანობის ამსახველი წლიური და მიმდინარე/კვარტალური ანგარიშები.

11. ვებ-გვერდზე არ არსებობს (ქვე-)განყოფილება „სტატისტიკა“, სადაც განთავსდებოდა ცენტრის მიერ შეგროვებული და დამუშავებული ოფიციალური სტატისტიკური ინფორმაცია და მონაცემები იმ ძირითადი მაჩვენებლების შესახებ, რომლებიც ასახავენ ცენტრის საქმიანობის ძირითად სფეროებში არსებულ სიტუაციასა და მათ განვითარების დინამიკას.

12. ვებ-გვერდზე არ არსებობს (ქვე-)განყოფილება „პროგრამები/პროექტები“, სადაც მოყვანილი იქნებოდა იმ პროგრამების/პროექტების ჩამონათვალი და მათ შესრულების შესახებ (წლიური) მოხსენებები, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს ცენტრი. აგრეთვე, ცნობები იმ პროგრამების ფარგლებში მიმდინარე ღონისძიებების შესახებ, რომელთა რეალიზაციაში მონაწილე მხარეს წარმოადგენს ცენტრი. *(პროექტ **„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი**", იუსტიციის სასწავლო ცენტრისათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე ან/და საკუთარი ინიციატივით განხორციელებული იმ პროექტებისა და პროგრამების (სოციალური, მიზნობრივი, კვლევითი, სამეცნიერო, საგანმანათლებლო, ამა თუ იმ სფეროს განვითარებაზე მიმართული და მისთ.) ამომწურავი ჩამონათვალი, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს ცენტრი), რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის ცენტრის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:*

http://www.opendata.ge/pdf_files/iusticiissaswavlocentri_proeqtebi0001.pdf).

13. ვებ-გვერდზე მართალია, არსებობს განყოფილება სათაურად „პარტნიორები“ თუმცა მისი შიგთავსი ცარიელია. სასურველია, აღნიშნულ განყოფილებას დაემატოს ქვე-განყოფილებები სათაურად „საერთაშორისო პარტნიორობა“ და „პარტნიორობა საქართველოს ორგანიზაციებთან“, სადაც მოყვანილი იქნება პარტნიორობის შესაბამისი ტექსტური ინფორმაციული აღწერა და ცენტრის პარტნიორ ორგანიზაციათა ვებ-გვერდების ბმულები.



- **სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა**

14. ვებ-გვერდზე განთავსებულია ერთადერთი სამართლებრივი აქტი - სასწავლო ცენტრის შინაგანაწესი:

სასურველია, ვებ-გვერდზე შეიქმნას (ქვე-)განყოფილება სათაურად „კანონმდებლობა“ ან „სამართლებრივი აქტები“ სადაც განთავსდება ცენტრის საქმიანობის (მმართველობის) სფეროსთან დაკავშირებული საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობისა და საქართველოს მინისტრის სამართლებრივი აქტები და სამართლებრივი აქტების პროექტები; აგრეთვე, ცენტრის დირექტორის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები.

ამასთან, შემდეგი სამართლებრივი აქტები - ცენტრის დებულება (რომელიც არ მოიძიება) და შინაგანაწესი სასურველია, მოიძიებოდეს შესაბამის ცალკეულ ქვე-განყოფილებებში.

სასურველია აღნიშნულ (ქვე-)განყოფილებაში, აგრეთვე, მოიძიებოდეს შემდეგი სამართლებრივი აქტებიც:

- საქართველოს კონსტიტუცია;
- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;
- საქართველოს კანონი „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“;
- საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 07 ნოემბრის N541 ბრძანებულება „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“.
- საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები.

საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას

15. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მიმართვათა მიმოხილვა.

16. ვებ-გვერდზე არ არსებობს საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებული განცალკევებული განყოფილება. არ მოიძიება საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურის ვინაობის (სახელი და გვარი), თანამდებობისა და საკონტაქტო რეკვიზიტების შესახებ ინფორმაცია, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებათა გასაჩივრების შესახებ ცნობები და ცენტრში შესული საჯარო ინფორმაციის გაცემასა და გაცემის მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია. აგრეთვე, ვებ-გვერდზე არ არის

წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივრისა და საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის ჩამოსატვირთი ფორმები/ნიმუშები.

- **საჯარო დაწესებულების საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები**

17. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ადმინისტრაციულ ხელშეკრულებათა ბლოკი/განყოფილება, სადაც მოყვანილი იქნებოდა ცენტრსა და ფიზიკურ/იურიდიულ პირებს შორის, აგრეთვე, ცენტრსა და სხვა საჯარო დაწესებულებას შორის გაფორმებულ ადმინისტრაციულ (სამოქალაქო/სამართლებრივ) ხელშეკრულებათა ჩამონათვალი და პირობები.

18. ვებ-გვერდზე არ არსებობს (ქვე-)განყოფილება, სათაურად „ტენდერები“, სადაც განთავსდება ცენტრის მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა (გამოცხადებული ტენდერები, კონკურსები და სხვა სახის სახელმწიფო შესყიდვები) და განხორციელებული სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) ამომწურავი ჩამონათვალი (სია) და ასევე, ცენტრის მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა და სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) შესახებ ინფორმაცია. *(პროექტ **„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი"**, იუსტიციის სასწავლო ცენტრისათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის მეორე კვარტალში (აპრილი-მაისი-ივნისი) განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების (გამოცხადებული ტენდერები, კონკურსები და სხვა სახის სახელმწიფო შესყიდვები) ამომწურავი ჩამონათვალი (სია) და თითოეულ მათგანზე გახარჯული თანხის ოდენობა, რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის ცენტრის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:*

http://www.opendata.ge/pdf_files/iusticiis.saswavlo_shesyidvebi.pdf).

- **საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა**

19. ვებ-გვერდზე არ არსებობს (ქვე-)განყოფილება სათაურად „ვაკანსიები“, სადაც განთავსდებოდა ვაკანსიათა არქივი, აგრეთვე, საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის შედეგები (ცენტრის მიერ კანდიდატთა პერსონალური მონაცემების ვებ-გვერდზე განთავსების საფუძვლებზე (თანხმობის მიღება) მითითებით, ვაკანტურ თანამდებობაზე მისაღები კანდიდატისათვის წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნების ჩამონათვალი (სათანადო ცოდნა და გამოცდილება, ძირითადი უნარ-ჩვევები), საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის პროცედურებისა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების წაყენების, მათი ადმინისტრაციული წარმოების გზით გასაჩივრების წესის აღწერა და ა.შ.

- **საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)**

20. ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი ცენტრის საქმიანობასთან დაკავშირებული ფინანსური ხასიათის არანაირი ინფორმაცია:

- არ მოიძიება ცენტრისათვის გამოყოფილი სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ყოველწლიური ასიგნებების შესახებ ინფორმაცია;

- არ მოიძიება ცენტრის ბიუჯეტში ასახული შემოსავლებისა და გასავლების / ბიუჯეტის შესრულების ბალანსისა და ბიუჯეტის ასიგნებების ხარჯვის შესახებ ზოგადი ინფორმაცია; *(პროექტ **„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის" ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი"**, იუსტიციის სასწავლო ცენტრისათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის მეორე კვარტალში (აპრილი-მაისი-ივნისი) განხორციელებული სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნების ხარჯვის შესახებ ამომწურავი ინფორმაცია (სახელმწიფო ბიუჯეტის 2011 წლის მეორე კვარტლის შესრულების ბალანსი/ანგარიში), რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის ცენტრის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:*
  http://www.opendata.ge/pdf_files/justiciis.saswavlo_biujeti.pdf
  აგრეთვე, მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) განხორციელებული სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნების ხარჯვის შესახებ ინფორმაცია (სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ბალანსი), რომელიც ასევე, მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის ცენტრის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:
  http://www.opendata.ge/pdf_files/justiciissaswavlocentri_biujeti.pdf*);*

- არ მოიძიება საჯარო სამსახურებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელი თანამდებობის პირთა ჩამონათვალი და საშტატო ერთეულზე გათვალისწინებული ფინანსური განაკვეთების შესახებ ინფორმაცია;

- არ მოიძიება ცენტრის სრული სისტემის თანამშრომლებზე გაცემული ხელფასების, დანამატების და დარიცხული პრემიების წლიური ოდენობების შესახებ ინფორმაცია; *(პროექტ **„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის" ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი"**, იუსტიციის სასწავლო ცენტრისათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა საჯარო სამსახურებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელ თანამდებობის პირებზე და სრული სისტემის (ყველა სტრუქტურული ერთეული, ტერიტორიეული და სხვა*

სისტემაში შემავალი ორგანო თუ დანაყოფი) თანამშრომლებზე 2011 წლის მეორე კვარტალში (აპრილი-მაისი-ივნისი) გაცემული ხელფასების, დანამატებისა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და პრემიების საერთო კვარტალური ოდენობების შესახებ ინფორმაცია (კონკრეტულ პირთა ვინაობაზე მითითების გარეშე), რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის ცენტრის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:

http://www.opendata.ge/pdf_files/iusticiis.saswavlo_xelfasebi.premiebi.pdf

- *აგრეთვე, მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) გაცემული ხელფასებისა და პრემიების საერთო კვარტალური ოდენობების შესახებ ინფორმაცია (კონკრეტულ პირთა ვინაობაზე მითითების გარეშე), რომელიც ასევე, მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის ცენტრის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:*

  http://www.opendata.ge/pdf_files/justiciissaswavlocentri_xelfasipremia0001.pdf);

- არ მოიძიება ცენტრის შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე ან/და საკუთარი ინიციატივით განხორციელებული იმ პროექტებისა და პროგრამების (სოციალური, მიზნობრივი, კვლევითი, სამეცნიერო, საგანმანათლებლო, ამა თუ იმ სფეროს განვითარებაზე მიმართული და მისთ.) სავარაუდო და ფაქტობრივი ხარჯთაღრიცხვა, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს ცენტრი;

- არ მოიძიება უცხო სახელმწიფოთა მთავრობების, საერთაშორისო ორგანიზაციების, სხვა დონის სახელმწიფო ერთეულების მიერ ცენტრისათვის გამოყოფილი ფინანსური დახმარების (გრანტები) ხარჯთაღრიცხვა.

შეფასება ვებ-გვერდის ელექტრონული კომპონენტის მიხედვით:




ვებ-გვერდის ელ-მმართველობის ხარისხი
ტექნიკური პარამეტრის არსებობა ვებ-გვერდზე
1. ნავიგაცია
88.89%
2. ძიება
60.00%
3. მარტივად აღქმის კრიტერიუმები
52.94%
4. საკონტაქტო ფორმები და წესები
25.00%
5. ვებ-კონტენტის ხელმისაწვდომობა
33.33%
6. ადაპტაცია მობილურ კავშირგაბმულობასთან WAP
0.00%
7. სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი
73.68%
8. ინტეგრაცია სოციალურ ქსელებთან
14.29%
9. ელექტრონული ჩართულობა
0.00%
10. ელექტრონული სერვისები
0.00%
11. უნარშეზღუდული მომხმარებლებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობა
0.00%
12. უსაფრთხოება
66.67%
13. დამატებითი მნიშვნელოვანი პარამეტრები
15.38%
0
0.2
0.4
0.6
0.8
1

- **ნავიგაცია**

ნავიგაციაში არ არის გაკეთებული წლების სორტირება:



- **ძიება**

ძიების მოდული ვებ-გვერდის მთავარ გვერდზე ჩანს:



ხოლო სხვა გვერდებზე აღარ ჩანს:



- **მარტივად აღქმის კრიტერიუმები**

ვებ-გვერდზე გვხვდება ცარიელი გვერდები:



მსგავს შემთხვევაში სასურველია, რომ არსებობდეს შესაბამისი შეტყობინება, მაგალითად „გვერდი მზადების პროცესშია“;

ვებ-გვერდზე ზოგიერთ კატეგორიაში ირღვევა სიმეტრია ბანერებს შორის, მაგ. რეგისტრაციის ბანერის შემთხვევაში:





- **საკონტაქტო ფორმები და წესები**

ვებ-გვერდის საკონტაქტო გვერდზე არ არის მითითებული საჯარო დაწესებულების ელექტრონული ფოსტის მისამართი, რაც ართულებს კომუნიკაციის დამყარებას საჯარო დაწესებულებასთან;

- **ვებ-კონტენტის ხელმისაწვდომობა**

ვებ-გვერდის ინგლისურენოვან ვერსიაში გვხვდება ქართულენოვანი ბანერები:

- **ონლაინ სერვისები**

ვებ-გვერდის რეგისტრაციის სერვისში, ლათინური ფონტით წერია ქართული სიტყვები:



რისი შეცვლაც საკმაოდ მარტივი და აუცილებელია;

ამავე დროს ვებ-გვერდზე შესაძლებელია ინტეგრირებული იყოს ონლაინ გადახდების მოდულიც, მითუმეტეს, რომ საჯარო დაწესებულებას გააჩნია ფასიანი მომსახურებები.

ვებ-გვერდის ზოგადი შეფასება

ვებ-გვერდზე დასახვეწია სხვადასხვა მოდულები, მაგ. სიახლეების მოდული. სასურველია გადახდების სერვისის მოდულის განთავსებაც, რომელიც ამ ეტაპზე ვებ-გვერდს არ გააჩნია. იმისთვის, რომ ვებ-გვერდი გახდეს უფრო ხელმისაწვდომი და საინტერესო ვებ-გვერდს აუცილებლად უნდა დაემატოს საძიებო სისტემებში ოპტიმიზაცია, სიახლეების გამოწერის მოდული და სხვა.